აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 7

11/09/2017 **ქ. ბათუმი**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის
სამსახურების დებულებების დამტკიცების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სამსახურების დებულებები:

ა) საოქმო სარეგისტრაციო სამსახურის დებულება ***(დანართი № 1);***
ბ) იურიდიული სამსახურის დებულება ***(დანართი № 2);***
გ) საარჩევნო პროცესების მართვის სამსახურის დებულება ***(დანართი № 3);***
დ) საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის დებულება ***(დანართი № 4);***
ე) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულება ***(დანართი № 5);***
ვ) ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის დებულება ***(დანართი № 6);***
ზ) ინსტიტუციური განვითარების სამსახურის დებულება ***(დანართი № 7).***

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე

სოფიო კახაძე

კომისიის მდივანი